№ 174 აგვისტო 14, სამ

1890

აგვისტო 14, სამშაბათი № 174

„Иверія" (ежедпевно).
КУТАИСЪ
2-й гильд. куп. Беро гр.
Пурцхванидзе.

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაგვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ქუთაისში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებშისასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1890

Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

გორის სასულიერო სასწავლებლის გამგეობა ამით აცხადებს, რომ მეორედ-დასაჭერი ეგზამენები ხსენებულს სასწავლებელში იქნება 25 და 27 აგვისტოსა, სასწავლებელში მისაღები-კი 28 აგვისტოსა ამა წლისასა. (3—3)

ახალი ამბავი

⁂ ჩვენის ქალაქის უსუფთაობასა და ყურის მიუგდებლობაზე არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი, მაგრამ ყურს არავინ იბერტყავს, თითქო სისუფთავეც და წესიერებაც ქალაქისთვის მეტი ბარგი იყოს. აი დღესაც რკინის გზის სადგურის მახლობლად მცხოვრებნი შემოგვჩივიან: სადგურის ირგვლივ ქუჩების უსუფთაობა-უყურადღებობამ იქამდე მიაღწია, რომ ქუჩის მტვერში ეტლები იფლობა და ცხადია, ამ გვარი მტვერი მცირე ნიავის დროს რა კორიანტელსაც დააყენებს. წინად კიდევ უმთავრესს ქუჩებს რწყავდნენ მაინც და ეხლა ესეც მეტ ბარგად ჩასთვალეს და არ ვიცით-კი რად. ეს გაუვალი მტვერი ყავახანლუდხანებმა თავიანთის სიბინძურის დასაფარავად გამოიყენეს. შებინდდება თუ არა, საზამთრო ნესვისა და სხვა ხილეულობის ნაფცქვენ-ნარჩევს ქუჩაზე ჰყრიან და მტვერში ურევენ. სიბინძურეს ჯანი და სული წაუვიდეს, ყავახანა-ლუდხანების უწესოებამ მეტად შეაზიზღა თავი აქ მცხოვრებთ. კარგა გათენებამდის ყოველ ღამე ლუდხანებში განუწყვეტელი სმაქეიფი და ღრიანცელია. ამას გარდა ქაღალდ-ლოტოს მოთამაშეთ მცირე რამეზე ერთი ვაი-უშველებელი უდგათ ხოლმე. ასეთი ორონტრიალი დგას ნამეტნავად სუბოტინის სახლში, დამბროვსკისთან. აქ ხშირად ათენ-აღამებენ მოქეიფენი. უბედურება ის არის, რომ მოქეიფეები აივანზე სხდებიან, ეზოს მხარეს, სადაც ხალხი დგას და კარში თავი ვეღარ გამოუყვიათ. ეს მოქეიფები თავის თანამოზიარე ქალებითურთ ისე ითვრებიან, რომ ხშირად ჰქებით კრივსა ჰმართავენ. მაგალითებრ, 5 ამ თთვისას ასეთის კრივის დროს შადრევანივით აღინეს თავიდგან ერთმანეთს სისხლი. დაუმატეთ ამას ქუჩებზე აუარებელი მაწანწალა ძაღლების წკნავილი, ყეფა და ჩხუბი და ნათლად წარმოგიდგებათ, რა განცხრომაშიაც იქნებიან სადგურის მახლობლად მცხოვრებნი.

⁂ მცხეთა: აგვისტოს 11 მცხეთის ტაძარში, საღამოს ლოცვის დროს, ჭერიდგან დიდი კირის ნაგლეჯი ჩამოვარდა და კინაღამ თავში დაეცა ამ დროს მლოცავს ა. ბორისოვისას. ეს პირველი შემთხვევა არ არის აქ. მართალია, შეკეთება უკვე დაიწყეს, მაგრამ საქმე მეტად ზლაზვნით მიდის. სასურველია, რომ ცოტა აუჩქარონ, თორემ სანამ ერთს ალაგას შეაკოწიწებენ, ახლა მეორე დაზიანდება ხოლმე. დღეს ტაძრის ჭერი იმ ყოფაშია, რომ არა ერთ და ორ ალაგას წვიმაც-კი ჩამოდის.

⁂ სოფ. კაკი: შარშან გწერდით, რომ ობლების ფულები ბლომად იკრიბება, ხოლო არავინ იცის სად ინახებაო. გწერდით აგრეთვე, რომ ამ ფულიდგან 300 მან. უკვე შეჭმულიაო. ჩემ მიერ მოწერილს ამბავს მაშინ არავინ ყურადღება არ მიაქცია. იმის მაგიერ, რომ საქმისთვის ყური ეგდოთ და გამრუდებული გაესწორებინათ, ზოგიერთებმა სიცილიც-კი დაიწყეს: ღირს ყურადღება მიექცეს „ივერიის" ნაჩმახსაო. მთავრობა ხომ ვერ გაიგებს, ქართულს ვინ კითხულობსო. აი, რუსულად რომ დაეწერათ, მაშინ-კი ჩვენ ვიცოდით, ქოთანს ყურს საით და როგორ გამოუბამდითო. მაგრამ საქმე წელს სხვა ნაირად დატრიალდა: ისინი, რომელნიც შარშან იცინოდნენ, დღეს ტირიან და იგლოვენ. ამ აგვისტოს დამდეგს აქ ბრძანდებოდა მაზრის უფროსი ბ-ნი უზბაშევი. მან ობლების ფულის მკრეფავს მოსთხოვა ანგარიში. ფულის მკრეფავი ამ სიტყვაზე იქვე გაშრა. აღმოჩნდა, რომ ფულის მკრეფავს არც ფულის ჩასაწერი წიგნი ჰქონდა და არც ფული. 300 მან. უსარგებლოდ მიეცა ერთის ვაჭბატონისათვის, დანარჩენის ფულის ალიან-ჩალიანი-კი არ გამოჩნდა. მაზრის უფროსი ამის გამო დიდად განრისხდა და ობლების კეთილის-მყოფელს უბრძანა: ათ დღეს ვადად გაძლევ და თუ ამ დროის განმავლობაში ფული და ანგარიში არ წარმოგიდგენია, იცოდე, ამ მაზრაში აღარ გედგომილებაო. ობლების ფულები უნდა ინახებოდეს სახელმწიფო ბანკში და იმით ობლები უნდა სარგებლობდნენ და არა კერძო კაცნიო". უფროსის წაბრძანების შემდეგ ფულის მკრეფავმა რაღაც ანგარიშის წიგნი გამოაჩინა, მაგრამ ეს წიგნი შეუმოწმებელია მთავრობისაგან, იმისი არც თავი ჩანს, არც ბოლო. ამბობენ, რომ ობლების ფული სულ 6000—7000 მანეთი უნდა იყოსო.

⁂ კახეთი: კახეთში მარიამობის პირველ რიცხვებიდგან წვიმებისა და გრილის ამინდების შემდეგ სიცხეები დაიჭირა და აქამდის მიუჩხებულმა მილდიუმაც საშინლად გაშალა ფრთები და ძლიერ მოედვა უწამლო ვენახებს. ვენახების ლურჯი ფერი ყვითლად შეიცვალა და ფოთლებიც მთლად დაუფორაჯდა, ზოგან-კი ყურძენმაც დაიწყო ჰკნობა და ცვივნა.

⁂ დუშეთი: აქეთ პურის მკას მორჩნენ და ახლა სიმინდსა სჭრიან. წელს აქეთ პურის მოსავალი კარგი იყო და გამოსავალიც კარგი აქვს. აგერ თითქმის ორი თთვე არის, რაც აქეთ წვიმა აღარა ყოფილა და ამიტომ საშინელმა გვალვამ ძალიან ავნო ყურძენსაცა და სიმინდსაც. უწვიმობის გამოვე დიდი უბალახობაა, რადგან მცენარე მთლად მოიწვა და მოიშუშა. დღისით სიცხის გამო კაცს გარედ არ გამოესვლება და ღამე-კი ცოტაოდნად გრილა.

⁂ სოფ. ზემოხვითი (გორის მაზრა): აქ ამ თთვის ოთხს, ღამის მეცხრე საათზედ, სამწუხარო ამბავი მოხდა: მტერმა ისარგებლა დროთი, როდესაც პატრონი შინ არ იყო და ზენა ქარიც ხელს უწყობდა, წაუკიდა ცეცხლი ივანე გლურჯიძის უზარმაზარს ძნას ქერისასა და პურისას და გადაუბუგა. ძნას გარდა დაეწო რამდენიმე ძირი თივა, იქავე მდებარე ვენახი და მსხმოიარე სამოც ძირამდე ხეხილი. ზარალი 2500 მან. აღემატება. საზოგადოდ ჩვენში ბლომად არიან ბოროტ-მომქმედნი და დღე არ გავა, რომ საქონელი არავის დაეკარგოს

ფელეტონი

მოგონება

V*)

თექვსმეტმა წელმა გაირბინა ჩემი ამხანაგი ვანიკოს სიკვდილის დღიდამ დღევანდლამდე. ქვეყანაზედ ბევრს რასმე უცვალა ფერი ამ ხნის განმავლობაში მოღალატე წუთი-სოფელმა და არც მე დამტოვა უცვლელად. მუდმივმა სწავლამ, მოუსვენარის გულის მწარედ მღელვარებამ, ფიქრმა, ჯაფამ და სიღარიბემ—შავი თმა ვერცხლის ფერის თმებით ამიჭრელეს უდროოდ და მოცინარე სახე სამუდამოდ შემიმწუხრა—ნაღვლიანეს. მაგრამ მე მაინც არასოდეს არ ვემდური ჩემს ბედს და ყოველთვის მზათა ვარ სწავლა-ჯაფისათვის ყოველ ნაირი გაჭირება და მწუხარება ავიტანო. ნათქვამია: სიბერემდის კაცს სწავლა სჭირდებაო; უჯფოდ არარა გარიგდებაო; კაცი უქკო ბრძენი ვერ გახდებაო. ცხონებული მამაჩემი მეტყოდა ხოლმე პატარაობაში: „შენს სიცოცხლეში არ უღალატო სწავლა-ცოდნას და არ დაივიწყო, ჩემო კარგო შვილიკო, რომ ერთი ჭკუით მდიდარი ადამიანი მთელის ქვეყნის უსარგებლო მდიდრებსა სჯობიაო: უსარგებლო მდიდრები ჭივბივით სწყდებიან და ქარწყლდებიან და ღვთისნიერი ჭკვიანები-კი ორთავ სოფლად იხსენებიაო". საწყალი დედა ჩემი-კი ყოველთვის ამას მეხვეწება: „ნუ იწყალებ, შვილო, თვალებს მაგდენ წერა-კითხვაში, აგრემც დედა წამლად დაგედებაო". რას იზამთ, დედის გული ჩვილია, და ისევ მრავალს ჭირსა და ლხინში გამოცდილ მამის სიტყვას უნდა დაეუჯერო.

ღმერთო! რაერთი იტირა იმ დღეს საბრალო დედაჩემმა, როდესაც დიდის ხნის უნახავმა სანთელივით ჩამომდნარი მიხილა შორის ქვეყნიდამ მოსული. შვიდი წელიწადი შორს რუსეთში ვიყავ სასწავლებლად და ჩემი საწყალი დედა და სახლ-კარი არც ერთხელ არ მენახა ამ ხნის განმავლობაში. ბევრჯელ დამიღიღინია რუსეთში ნაღვლიანად:

„მეცა მყავს სატრფო გულისა
დღესაც ვტრფიალებ მისითა,
მაგრამ შორს მყოფი მის ცეცხლით
ვიწვი ღამით და დღისითა.
წავალ და ვნახავ სამშობლოს
გაიავარდისფრებულსა,
იქ მე გულს გავიზაფხულებ,
გულს სევდით დაზამთრებულსა."

აი ეს ტკბილი იმედი მასულდგმულებდა უცხოეთში, და მართლაც შემიბრალა იესო წამებულმა და ამისრულა საწადელი: დილის მზე ახლად ამოდიოდა მედიდურად გალაჟვარდებულ დალისტნის მთიდამ და საამურად ალაპლაპებდა თავისის ცხოველმყოფელის ოქროს სხივებით ჩემ სამშობლოს ათას ფრად აყვავებულს მინდორ-ველს, როდესაც მე ჩვენს სახლს მიეუახლოვდი რუსეთიდამ მოსული. დიდის ხნის უნახავი სამშობლო ქვეყნის ნახვით მიმკვდარებული გული უცბად გამიცოცხლდა და დილის ვარდივით გადამეშალა სიხარულით. ყრმობიდგანვე ჩემს სულთან განუყრელად შეთვისტომებულ მთატყე-ველის დანახვამ ტირიფივით ამათრთოლა, წკანწკარა-წყაროსავით ჩამომადინა თვალებიდამ სიხარულის ცრემლები და ცაში ვფრინავდი ტკბილ-ალტაცებულის ნეტარებით დამთვრალი.

შევდგი თუ არა ჩვენს ეზოში ფეხი, მაშინვე ჩვენი ძაღლი გრიშკა გამოექანა ჩემსკენ გაანჩხლებული. ძაღლს ალერსი დავუწყე: „გრიშკა, გრიშკა! ჩემო გრიშიკო, ნუ თუ ვეღარა მცნობ-მეთქი," და გრიშკამ იმ წამსვე მიცნო ხმაზე და ზედ გულის პირზე შემომაფრინდა სიხარულიანის წკმუტუნით. ამ დროს დედაჩემი და ჩემი რვა-წლის და იამზე მორბოდნენ ჩემსკენ სიხარულით თავ-დავიწყებულნი. „შვილო"!—შემომძახა გულამომჯდარმა მშობელმა, «დედავ»!—შევძახე მეც თვალ-ცრემლიანმა და გადავეხვიენით ერთმანეთს ქვითინით. ჩემი პაწაწა და იამზე-კი იდგა ჩვენს ახლოს იასავით მორცხვად თავ-დახრილი და მარგალიტივით ცრემლები ჩამოსდიოდა მშვენიერ სახეზე, თითქოს იმ ცრემლებით ეს უნდოდა ეთქვა ჩემთვის: მე ისევ ძუძუთა-ბალღი ვიყავი, როცა შენ სამშობლო მხარე დასტოვე და შორს რუსეთში გაემგზავრე სასწავლებლად. შენ ჩემი ერთად-ერთი საყვარელი ღვიძლი ძმა ხარ მთელს ცასა და ქვეყანას შუა, მაგრამ მე-კი ეხლა გხედავ მზიან ქვეყანაში, მიხარიან და ვტირი! ოჰ, ჩემო გულის საყვარელო ძმაო! სად იყავ აქამდის, რათ დაგვანატრულე შენი ნახვა და რატომ არ მოხველ შენს ქვეყანაში? მთელი შვიდი წელიწადი დედა სულ შენს ლოდინში იყო, შენზე ნაღვლობდა, ტიროდა და მატირებდაო.

ბოლოს ავიყვანე ხელში ჩემი დახატული—შვიდის წლის უნახავი და იამზე, სიყვარულით ჩავიკარ გულში და მივედით სამნივ ჩვენის საწყალის ქოხის დერეფანში. ნახევარ საათის განმავლობაში მთლად გაივსო ჩვენი ეზო ჩვენის მეზობლებით, სოფლელებით და ნათესავებით. ყველას უხაროდა ჩემი ნახვა. ყველანი მესიყვარულებოდნენ ტკბილის სიტყვებით. ყველა მხიარულის სახით ულოცავდა დედაჩემს ჩემს მშვიდობიანად სამშობლოში დაბრუნებას. ჩვენც, მე და დედაჩემი, ყველას გულითად მადლობას ვუხდიდით და ყველას დედა-შვილურად ვესიყვარულებოდით ნამტირალის თვალებით.

—

ჩემს რუსეთში ყოფნის დროს ბევრის თავი გაეხმო და დაემიწებინა უწყალო სიკვდილს. ვეღარა ვნახე ვეღარც ღვთისნიერი კაცთმოყვარე აბრამი, ვეღარც ზენოს გულის საყვარელი საბა, ვეღარც ღვთის ეკალი ნარუსალი და ვეღარც ბევრნი სხვანი. იგინი გაუმაძღარ სიკვდილს ჩაენთქა საუკუნოდ. ვანიკოს დედა-მართა ღრმად მოხუცებულიყო. ნარუსალის ნაცოლარი თეონა გათხოვებულიყო და იმისი შვილი დიონე ისევ სემინარიაში სწავლობდა აბრამის ხარჯზედ. აქამდის ცხრაჯერაც მოკვდებოდა ვანიკოს დედა, დიონე რომ არ დაჰრჩომოდა სანუგეშებლადაო,—მეუბნებოდნენ მეზობლები. ისე გაგიჟებით უყვარს თურმე ჩვიდმეტის წლის დახატული ჰაბუკი დიონე მოხუცს მართას, რო ხანდახან რაღაცნაირად გაშეშმიშება ხოლმე და ტირილით ჯავრობს: თქვენ ჩემს შვილს ვანიკოს სახელს რად უცვლით და დიონეს რათ უძახითო, მაგრამ მალევე გადუვლის ხოლმე ეს უცნაური სულის ავადმყოფობაო. კანიკულების დროს, როცა დიონე ქალაქიდამ სახლში ბრუნდება, მოხუცი სულ იმის მოვლა-ალერსშიაო; მიიკრავს ხოლმე გულში და თვალ-ცრემლიანი უამბობს ვანიკოს პაპისა და მამის წარსულ ცხოვრებას, ვანიკოს თავ-გადასავალს, ნარუსალის დანგრეულის ოჯახის ამბავს და ათასს რაგინდარასო. ერთს დილას თითონ დედაჩემს შევსწრო თვალი: დერეფნის ტახტზე ჩამომჯდარს მართას შვილობილი დიონე გულში მიეკრა სიყვარულით, ვანიკოს სიკვდილის მიზეზს უამბობდა დაწვრილებით, თუ როგორ გადაანარჩუნა ვანიკომ ძუძუთა-დიონე, და დიონე გულ-საკლავად ქვითინებდა მდუღარე ცრემლითაო.

---

*) იხ. „ივერია" № 166, 167, 168, 169, 170 და 172.

ამ ორ-სამ ვერსის მდებარე სოფლებში. ამას წინად ორ-სამ ღამეს ხუთ ალაგას დაიკარგა ხარები და ძროხა.

⁂ სოფ. არადეთი (გორის მაზრა): 9 აგვისტოს, ღამით, ათის ნახევარზე წაეკიდა ცეცხლი აქაურის აზნაურიშვილის ბ-ნ სამსონ იშხნელის საბძელს, ბზით გავსილს, და სულ ერთიანად ჩაიბუგა. ზარალი ორმოც თუმანზე მეტი იქნება. არ იციან, რა მიზეზით გაჩნდა ცეცხლი. ამბობენ-კი, რომ განგებ წაუკიდეს ცეცხლი ბოროტ-მოქმედებმაო. როცა საბძელი იწვოდა, ძალზედ ნავთის სუნი ასდიოდაო.

⁂ სოფ. საღოლაშენი (გორის მაზრა): ჩვენს სოფელსა და სოფელს ბრეთშიაც საქონლის ჭირი გაჩნდა. ჭირ-შეხვედრილი საქონელი თითქმის უცბად იხოცება. ერთს-კი დაიძახებენ, ამასა და ამას ხარი, ძროხა, დეკეული ავად გაუხდაო და პატარა ხანს უკან უკვე მიათრევენ მკვდარს საქონელს სოფელს გარედ გადასაგდებად.

⁂ ქ. ფოთი, 11 აგვისტოს. ამ ერთის კვირის განმავლობაში დიდი სიცხეები იდგა აქეთ. ამ თთვის ცხრას დილის ხუთ საათიდგან ამოვარდა საშინელი აღმოსავლეთის ქარი და დილიდგან საღამომდის სულ განუწყვეტლივ ჰქროდა. ქარმა, სადაც-კი იყო ოდესის ყურძენი, სულ მთლად გააყრევინა, სიმინდებიც მიამტვრ-მოამტვრია და ზოგ-ზოგი დიდი ხეებიც-კი მოთხარ-მოგლიჯა. ამ თთვის ათს შუაღამიდგან ჟუჟუნა წვიმა დაიწყო აქა, წვიმას თან მოჰყვა დიდი რეში და მთელი ქალაქის ქუჩები გაავსო-გაალიპლიპა და რუებს დააგვანა, ასე რომ ფეხით სიარული ყოვლად შეუძლებელი გახდა... კარგი იქნებოდა, რომ აქაურის ქუჩების „ტროტუარები“ ცოტა აემაღლებინათ და ქუჩების თხრილებიც გაეწმინდ-გაესუფთავებინათ შამბისაგან.

⁂ „Новое Время“ ამბობს, რომ ვენის საანტროპოლოგიო მუზეუმის დირექტორი ხეგერი კავკასიაში აპირებს წასვლას სამეცნიერო აზრითაო.

⁂ გაზ. „Новости“ ამბობს: ეტიკეს თავმჯდომარეობით რკინის გზათა დეპარტამენტის მიერ ამორჩეულ კომისიის კრებაზე ამ დღეებში განხილულ იქმნა ბაქოელ ნავთის მწარმოებელთა თხოვნა, ფინანსთა სამინისტროში წარდგენილიო. ამ თხოვნაში ნათქვამია, რომ წარსულის წლის მეორე ნახევარში, როდესაც ფუთ ნავთის ფასმა პირველად 7 კაპეიკამდე აიწია და რუსულ მანეთის კურსის მომატებამ დასწია ჩვენის ნავთის ფასი საზღვარ-გარედ, სწორედ ამ დროს ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ გადასახადი მოგვიმატა და შეგვავიწროვაო. უცხო სახელმწიფოებში ამერიკულმა ნავთმა დასძლია ჩვენსას. ამ ჟამად ბათუმში 4 მილლიონ ფუთამდე ნავთია დაბანდებული. პატრონებმა აღარ ვიცით, რა ვქნათ, ან ძლიერ იაფად და ზარალით უნდა გავყიდოთ და ან კიდევ ჯარიმა ვიხადოთ რკინის-გზისაო, რადგანაც პირობის ძალით დანიშნულს ვადაზე უთოუოდ უნდა ვგზავნით ხოლმე რამდენიმე ქვაბი თავთიო. ეხლა ბაქოში ათასზე მეტი ცალიერი ვაგონი სდგასო, რადგან პატრონებმა ისევ ჯარიმის ძლევა არჩიეს ზარალით ნავთის გაყიდვასაო. ამ ორ თთვეში ვინცა ჰგზავნიდა ბათუმში ნავთსა, მხოლოდ იმიტომა ჰგზავნიდა, რომ ჯარიმა არ გადაეხადნათ. ამ გვარად ნავთი მიჰქონდათ ბათუმში და იქ თავს ანებებდნენ, რადგან აწინდელ ფასით გაყიდვა შეუძლებელიაო. ეხლა, როდესაც ბათუმში ადგილი აღარ არის ნავთისთვის, პატრონმა ან უნდა უფასოდ გაყიდოს და ან კიდევ ჯარიმა გადაიხადოს ვაგონის გაჩერებისათვის დღეში მანეთ-ნახევარიო.

⁂ ამ თთვის 11, პოლიციის მეათე ნაწილში, ალექსანდრეს ქუჩაზე, ივანოვის სახლში მომუშავეს სოლომონ ვერულიშვილისა, კონსტანტინე ცაბაძისა და არჩიპ ბალანჩივაძის დაუკეტავის სადგურიდგან მოიპარა იმათმავე ნაამხანაგარმა, ქუთაისის მცხოვრებელმა მიხეილ ფიცხელავამ, სხვა-და-სხვა ნივთეულობა სულ 89 მანათისა. ქურდსა და დანაკარგს დაეძებენ.

⁂ 12 აგვისტოს, პოლიციის მეექვსე ნაწილში, ტფილისის მცხოვრებელი მიქაელ ახპერ-ოღლი წაეჩხუბა სპარსეთის ქვეშევრდომს ანდრიასა აკოფოვს და დანით დასჭრა ორივე ხელებში, ზურგსა და გვერდში, დაჭრილი სამკურნალოში გაჰგზავნეს. დამნაშავე დაიმალა და ეხლა დაეძებენ.

⁂ 11 ამ თთვისას, პოლიციის მესამე ნაწილში, სახელმწიფო თეატრში მოსამსახურედ მყოფმა ტფილისის მცხოვრებელმა ალექსანდრე სუდაკოვმა სხვა-და-სხვა დროს მოიპარა 90 ცალი ცინკის ლულა, ღირებული სულ 40 მანათად. ლულები მიეყიდნა ტფილისისავე მცხოვრებელის გეურქ ალიბეგოვისათვის. დამნაშავე შეიპყრეს და თთვე ნახევრით დაპატიმრება გადაუწყვიტეს.

⁂ ამავე დღეს და ამავე პოლიციის ნაწილში ტფილისის მცხოვრებელმა ბეგლიაროვმა, რომელიც ვანქის ქუჩაზე იმყოფება საკუთარს სახლში, გონებაზედ არ ყოფნის დროს, ქვა ესროლა სამსახურს გარეშე მყოფს უნტერ-ოფიცერს იაგორ მარკოვს და იმის შვილს პავლეს. დაშავებულთ შემწეობა აღმოუჩინეს. ჭრილობა საშიში არ არის.

—

⁂ პოლიციის მერვე ნაწილის ბოქაული ბ-ნი ჩიკვაიძე გვთხოვს, გამოვაცხადოთ, რომ რკინის გზაზედ მოკლულ პოლიციელ ვალიშვილის ოჯახის სასარგებლოდ მოგვივიდა შემოწირულებანიო: პოლიციის პირველ ნაწილ. 19 მან. და 50 კაპ, მეორისაგან—10 მ. 30 კ., მე-3—9 მ. 30 კ., მე-4—16 მ 71 კ., მე-5—3 მ. 10 კ., მე-7—11 მ. 10 კ., მე-8—17 მ. 55 კ., მე-9—11 მ. 70 კ. და მე-10 მ. 42 კ. კერძოდ: მარიამ პერცოვისაგან 4 მ., იაგორ ვასილევისაგან 60 კ. და გეურქ მათუზოვისაგან 20 კ. სულ 114 მ. და 48 კ. ამ ფულიდგან, შემომწირველთა სურვილისამებრ, ოთხი თუმანი გარდაცვალებულის საფლავზე ქვის დასადებად გადაიდო, ხოლო დანარჩენი 74 მან. 48 კაპ. განსვენებულის მეუღლესა და დედას თანაბრად გაუნაწილდათ. გარდაცვალებულის სახლობა გულითადს მადლობას უძღვნის ამ ფულის შემომწირველთ.

◆◆

ჯერ არ გაგონილა

მკათათვის პირველს რიცხვებში სოფ. საბუეზე მომიხდა ჩამოვლა. როდესაც გამოუსწოროდი თ. დ. ჯორჯაძის სახლს, რომელიც სკოლაზედ კარგა მოშორებითა და განმარტოებითა სდგას, უცებ რამდენმამე გლეხმა შემაყენა: „აქეთ გავლა არ შეიძლებაო“.

— რატომ?! რა ამბავია-მეთქი? ვიკითხე.

— ისა, რომ თ. დავით ჯორჯაძეს ქუნთრუშა უდგას სახლში და ჩვენ ბოქაულის ბრძანებით, „კარანტინი“ გვაქვს შემოვლებული და აქეთ არავის არ ვუშვებთ.

— რას ამბობთ, ხალხო? ქუნთრუშა განა იმისთანა საშინელი ხენია, რომ რომ ამოდენა ყარაულები სცდებით მაგისთვის?!

— რა მოგახსენოთ, შენი ჭირიმე! ჩვენში ქუნთრუშას ამ გვარი მორიდება ჯერ არ გაგონილა, მაგრამ ექიმსა და ბოქაულს-კი აგრე უბძანებიათ და რა ვიცი!

ამან საშინელი ცნობის-მოყვარეობა აღმიძრა და მოვინდომე ჭეშმარიტების შეტყობა. გამოვბრუნდი, მივედი ერთ ჩემ ნაცნობთან და ვთხოვე, რომ ამიხსენ მეთქი ეს უცნაური ამბავი დ. ჯორჯაძის სახლისთვის დარაჯები რად დაუყენებიათ და ვისი ბრძანებით. თითონ არა კმა-ყოფილმა ამ განკარგულებით ნაცნობმა, აი რა მიამბო:

„ამ ცოტა ხანში თ. დ. ჯორჯაძეს გაუხდა ავად უფროსი 6—7 წლის ვაჟი და მოიწვია მაზრის ექიმი ბ-ნი ზელნიცკი. ექიმმა ავადმყოფობა ქუნთრუშად აღიარა და წამლების დანიშვნასთან ერთად უთხრა თ. ჯორჯაძეს, რომ ამ ქუნთრუშის თავი და თავი წამალი მოვლა და ფარეზობაო... მესამე დღეს, 23 თიბათვეს, გარდაიცვალა ყმაწვილი. მიცვალებული დაასაფლავეს და ჯორჯაძეს ქუნთრუშითვე ავად ახლა სხვა ბალღები გაუხდა... 29 მკათათვეს საღამოს, ბინდისას მიიჭრნენ თ. ჯორჯაძისას მაზრის ექიმი ბ-ნი ზელნიცკი და ყვარელის ბოქაული თ. ყარალაშვილი და გამოუცხადეს, რომ „შენს სახლს სანგალი შემოვარტყითო“ და, სიტყვა აღარ გაუგძელებიათ, ჩასხდნენ ეტლში და გაუდგნენ ყვარელის გზას.

ამ მოულოდნელისა და უცნაურის განკარგულებით თავს-ზარ-დაცემული დავით ჯორჯაძე ერთიან გაოცდა და აღარ იცოდა, რა ექნა და ვისთვის რა ეთქვა, რადგანაც სახლს გარეშემო დარაჯები ედგნენ და არც არავის გარედ უშვებდნენ და არც არავის შიგნით... თქვენი მტერი იყოს იმ მდგომარეობაში, რაც თ. დ. ჯორჯაძეს დაემართა. უფროსის შვილის დაკარგვით მწუხარესა და მგლოვიარეს თავს დაატეხეს ეს უარესი თავს-ზარიც და ისე შეჰზღუდეს, რომ პურის მცხობელსა და მოსარეცხე დედაკაცსაც-კი აღარ შეებდნენ მასთან და იძულებული ჰყვეს, რომ სახლიდგან დაეძახნა ხოლმე: „ხალხნო! გამომცხვარი პური მაინც მოგვყიდეთ, ან გვასესხეთო“. აი ასე გახლავთ ეს საქმე და ჯერაც არავინ იცის, რითი დაბოლოვდებაო“.

თითონ დიონესაც ძალიან ჰყვარებია დედობილი მართა; ღვიძლს დედა თეონას-კი თვალითაც აღარა ნახულობსო და იფიცავს: აღარც ვინახულებ ჩემს სიცოცხლეშიო, იმისთვის რომ მეორე ქმარი არ უნდა შეერთოვო და უფრო-კი იმიტომ, რო ვანიკოს სიკვდილის თავდაპირველი მიზეზიც ის არის, ზენოსიც და საბასისაცაო: საწყალი ზენო რო საბასათვის მიეცა, მაშინ აღარც ქოხი დაგვეწვებოდა, აღარც ზენო, აღარც საბა, აღარც ღვთისნიერი აბრამი და აღარც საცოდავი მამაჩემი არ დაიხოცებოდნენო.

მეტად ჭკვიერი ყმაწვილია თურმე დიონე და ძალიანაც ჰყვარებია მთელს ჩვენს სოფელს. „მშვენიერი ქართულ-რუსულის წიგნების ბიბლიოთეკა აქვსო, მეუბნებოდა დედაჩემი, როცა დიონეს ამბავს ვკითხავდი,—ყოველს ზაფხულს, როდესაც-კი შინ იმყოფება, ხან ჭკვიანურ წიგნებს უკითხავს ხალხს, ხან სოფლი-სოფლად მოგზაურობს ფეხით და ხალხის ყოფა-ცხოვრებას აკვირდება, ხან ულოდინარებს ათასნაირ დარიგებას აძლევს და ეწევა სიტყვით თუ საქმით, ხან ხალხში ნახულ-გაგონილს სწერავს თავისთვის, ხან მოხუცებულებს ემუდარება და ძველის დროის ამბებს, არაკებს და ლექსებს ამბობინებს საგაზეთოდ და ამ გვარად სხვებსაც ასწავლის და თითონაც სწავლობს ჩვენის ქვეყნის ძველისა და ახლის ავ-კარგს ჩვენისავე ქვეყნის საბედნიეროდაო. ღმერთმა დიდი დღე მისცეს, შვილო, ეხლავ ემჩნევა ქვეყნის სასარგებლო და სახელოვანი კაცი გამოვა დიონეო, დაუმატა ბოლოს დედაჩემმა.

ამ სასიამოვნო ამბის შეტყობის მეორე დღეს, ჩვენის მოხელეებისაგან რაღაცაზე გულ-მოსული კიკოლა საბრალოშვილი ამაყად უყვიროდა სოფლის ყრილობაში ჭამიაშვილებს: «დაიცა, დაიცა! ერთი ღვთის მადლით დროზე გაათავოს სემინარია დიონემ და მაშინ გიჩვენებთ თქვენს თამაშას, როცა ნაჰწავლი მამასახლისი გვეყოლებაო». „ვერ მოგართვესო,—უპასუხებდნენ ჭამიაშვილები,—დიონე ღვდლად ეკურთხებაო“. „თქვენმა თავის გაფუხრეწამო! ეუბნებოდნენ აქეთ-იქიდამ ჭამიაშვილებს საბრალოშვილის მომხრეები, თქვენი თვალი-სათხრელად იმას უნდა მიეცეთ მამასახლისობა, იმას! რო დედა-ბუდიანად ამოაგდოს ავი ადამიანის სახსენებელიო. გამოგძვრეთ ე თვალი, ჯერ ბიჭი იგრევ ჩვიდმეტის წლის ბალღია და იგრე ღმერთივით უყვარს სიმართლე და ჭირივით ეჯავრება უსამართლო ადამიანი და როცა დაკაცდება და სოფლის მოთავე მამასახლისად გვეყოლება, მაშინ ხო თქვენს დუხს გააქრობსო».

რუსეთში ყოფნის დროს სხვა სწავლასთან მიწა-წყლის მოვლის ცოდნაც შევიძინე. სახლში მოსვლისათანავე ჩემის დედულ-მამულის მუშაობას მივყავ ხელი და რიგიანად შევიმუშავე და გავაახლე ჩემი პატარა ვენახები და სახნავ-სათესი. ო ღმერთო! რამდენი შრომისა და ჯაფის ოფლი ჩაუღვრია საწყალს დედაჩემს ამ ჩვენს მამულში მე და ჩემის პაწაწა დის გამოსაზრდელად. მე რომ ჭკვიერი, ღვთისნიერი, გამრჯე და გამჭრიახი დედა არა მყოლოდა, დავრჩებოდი უსწავლელი ტეტია და ყველა უსამართლოსაგან აბუჩად აგდებული უბედური. ჩემის ხელის გულზედაც, რომ ერბოკვერცხი მოეწონა დედას, მაინც ვერ გადვიხდიდი იმის ამაგს. დღესაც-კი არ იცნობს ჩვენს ხვეწნა-მუდარას ზევრის ჯაფისაგან გატეხილი საბრალო დედაჩემი და შრომობს ყოველ ცისმარე დღეს; «არა, შვილო, გული არ გამიძლებს და ვერ ვიცოცხლებ, თუ არ ვიშრომეო», მეტყვის ხოლმე ალერსიანის სიყვარულით. ჩვენს შინა-ეზოებში რომ ადამიანი შევიდეს, გამოსვლა აღარ მოუნდება: დედაჩემის შრომა-ოფლით მწვანედ გადანებული ბოსტანი, იმისვე ხელით კეკლუცად ჩამწკრივებული ხეხილები, ვაზის სამური ხეივნები და იმათ ყვავილოვანების ჩრდილებში მწვანე გვლილით მოლიდებული ანკარა წყარო მკვდარსაც-კი გააცოცხლებს და გულსა და სულს დაუშოშმინებს სიამოვნებით.

—

საშინელს მდგომარეობაში ვიყავ ერთს კვირა-დღეს: გული სასიკვდილოდ მიშფოთდა რაღაცაზედ და უწყალოდ მტანჯავდა და მაჩოთებდა გულზე შემოწოლილი შავ-ფესვიანი სევდა ბოლმისა. მიდიოდი ქალაქ გარედ სასაფლაოებზე გულმოკლული, ძალ-ნაკრთობი, წარბ-შეკრული, მოღრუბლული და იქ ვიქარწყლებდი შავს ნაღველს. საფლავის ქვების დანახვის უმალვე მაგონდებოდა ჩვენი წუთიერი სიცოცხლე და უწყალო სიკვდილი და იმ წამსვე გადამეყრებოდა ხოლმე გულიდამ სევდის ღრუბელი. ასევე მოვიქეც იმ დღეს: ავედ და გავწიე ჩვენის სოფლის სასაფლაოებისაკენ გულის წუხილის საამებლად, მაგრამ გზაში ერთი უარესი დამემართა: გულს შავი ნისლი მოაწვა, შავ-სევდისა ზღვისანი, შავად მეჩვენა ქვეყანა და ბნელად სხივნი მზისანი, ეხ! საწუთროვ, მაინც, ელო ჯოჯოხეთო გამტანჯავო! ოხ, წყეულო სულო ჩემო, ვერ გასწავლე დაწყნარება!.. ო, რათ ხარ გულო მგრძნობიერო, ვჰლარაედები. ნეტავ შენ, ვიროო, შენ არა-დროს არა ჰთითორდები!

გაიარა ცოტა ხანმა და მთის კორტოხზე ავედ საფლავებთან. იქ, საფლავების შუა-გულში ეკლესია აშენებული, რომელიც დიდებულად გადასცქერის ცამდე მიჯრილის დალისტინის გალავისფრებულს მთებს და ალაზნის მწვანე ხეივნით მობიბინე ათასფეროვან მინდორ-ველს. ჩამავალი მზე ერთი შუბის ტარზედა იდგა და იმისი მრავალ-ცისკროვანი ოქროს სხივები გულ-უხვად აბნევდნენ ოქროს მტვერს დახატულს ქვეყანასა. დიდხანს გადავცქეროდი აქა-იქით მდუმარე მთის წვერიდამ სამოთხესავით დასურათხატებულს ჩემი სამშობლოს ქალა-მთიანს მინდორ-ველებს და ახლად გამოდვრებულს გულს ვიტკბობდი მისი სამური სანახავებით.

ბოლოს ჩამოვჯექ ერთის საფლავის ქვაზედ დაფიქრებული, დავაცქერდი ჩემ წინ მდგარე საფლავის ქვას და შემდეგი ამოვიკითხე:

მეც მქონდა ქვეყნად ერთი დრო,
გული ტკბილადვით ძგეროდა,
და ჩემსა ენა-კვალასა
მარგალიტები სცვიოდა.
მართალი ვიყავ უფლისთან,
ჩემზე არვინ ჩიოდა,
მოყვასი და ყველას შევბრალდი,
ცასაც-კი ცრემლი სდიოდა.
განაგე მრჩევ სასულად,
დედ-მამა მყვანდა ღვთიანი.
თოთხმეტის წლისას მესტუმრა
სიკვდილი ოხზმიანი.
არც შენ შეგრჩება, მკითხველო,
სიცოცხლე მშვიდობიანი:
მოგჭკნება, დაგიბნელდება
ეს ქვეყანა მზიანი.
ნუ ჰხარშენდნებ წუთისოფლით
სულს ღვთისგან მომადლებულსა,
ნუ დაუმონებ გონებას
გულის თქმას გააქვებულსა.
გაიფიქრე, უშველე
გლახაკს და გაჭირვებულსა.
აქ მიდგა თუმ, იმ ქვეყნად—
მოიმკი ამაგებულსა.

„ღმერთო ჩემო! და ეს ხომ ჩემის ნამხანაგარის ვანიკოს საფლავია-მეთქი“, სიმწარით წამოვიძახე წაკითხვის უმალვე, და ღრმად შემომკვნესა გულმა ტანჯვით.

დ. მაჩხანელი

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ამბით გაოცებული მას შემდეგ თვალ-ყურს ვადევნებდი ამ უცნაურს საქმეს. საგლის ახსნამდის არც ბ-ნი ექიმი და არც ბოქაული არ გაწვანებულან თ. დ. ჯორჯაძის სახლში, მხოლოდ მეთერთმეტე დღეს, 10 მკათათვეს, მობრძანდა ექიმი ბ-ნი ზელინცკი, ახსნა სანგალი და გამოუცხადა ჯორჯაძეს, რომ თავისუფალნი ხართო, თუმცა მაშინაც-კი ძლიერ ავადმყოფი იყო ქუნთრუშითა ჯორჯაძის ერთი შვილთაგანი, რომელიც ექიმმა გასინჯა და სთქვა, რომ ეს ყველაზედ უარესი ავადმყოფია ქუნთრუშითაო, და ჯორჯაძის თხოვნით თავის ფერშალიც დასტოვა დროზე წამლების მისაცემად. ვიკითხოთ ერთი, ეს სანგალი რიღასთვის იყო საჭირო: თუ ქუნთრუშისთვის შემოიღეს, მაშ რაღაზედ ახსნეს, ქუნთრუშა ხომ კიდევ იყო და ყმაწვილები ჯერ არ იყვნენ სრულიად მორჩენილნი.

გულ-ახდით ვაღიარებ ამ გვარის ამბის მომსწრე და გამგონი ჯერ არა ვარ. არაკადაც-კი არ გამიგონია, რომ ქუნთრუშას სანგლებს უკრავდნენ!.. ვერავინ მიჩვენებს მთელს საქართველოში იმისთანა სოფელს, რომ ქუნთრუშას, ჩუტ-ყვავილას, წითელას, სურდოსა და ყივანა ხველას ხალხი ჭირს უწოდებდეს და კარებს უკეტავდეს. არამც თუ ამას, ყვავილსა სისხასა და შავს სახადსაც-კი არ ერიდებიან და არც ექიმები და ადმინისტრაცია არ შეუკრავს ხოლმე კარანტინებს!..

გვიკვირს ჭეშმარიტად და ჩვენთან ერთად ბევრსაც სხვას ბ-ნ ზელინცკის აგეთი საქციელი! ძლიერ კარგი იქმნება აგვიხსნას მიზეზი ბ-ნმა ექიმმა ამ უცნაურის საქციელისა.

ქართველიშვილი

◆◆

საქონლის ჭირის წამალი

ვინაიდგან ზემო-ქართლში ამ ჟამად მეტად მძვინვარებს საქონლის ჭირი და საქართველოს დანარჩენ მხარეებიდგანაც ისმის ასეთივე ჩივილი, მეტი არ იქნება, რომ ეს ნაცადი წამალი გავრცელდეს გაზეთის საშუალებით. წამალი ბ-ნმა მ. ნ. რეიტერმა მიამბო და მეტად ადვილი მოსახერხებელიც არის ყველასათვის. ჭირით ავად გახდომისათანავე აღარ იცოხნის პირუტყვი, თვალებში ცრემლი მოსდის, ცხვირიდამ ნაზლი სდის, მუცელში ფაღარათობა აქვს და პირიც საშინელი ცხელი.

უნდა გაიფცქვნას ერთი გირვანქა ნიორი და დაინაყოს, მიემატოს ერთი საჭმლის კოვზი დანაყილი გვარჯილა, ერთი კოვზი დანაყილი გოგირდი, ერთი კოვზი წმინდად დანაყილი ქაფური, ერთი მუჭა დანაყილი საჭმლის მარილი და დაესხას გირვანქა ნახევარი ზეითუნის ზეთი. უნდა გაითქვიფოს, კარგად აირიოს ერთმანეთში და დღეში ერთხელ ძალად შეასვას ავადმყოფ პირუტყვს ერთის ჩაის ჭიქით სავსე, ხოლო ორის წლის ხბოს-კი ამისი ნახევარიც ეყოფა. პირუტყვი მალე გამობრუნდება და მალეც დასტყობა კარგად გახდომა. მეორე დღესაც ერთხელ უნდა მიეცეს ერთი ჩაის ჭიქა, თუ არ გამოკარგდა და თუ ამანაც არა უშველა-რა, მეტი აღარ უნდა მიეცეს წამალი. ამ წამალს საქონელი არ შესჭამს თავის ნებით, თუ ძალად არ ჩაასხით ხახამდის. წამლის შემდეგ პირუტყვს კანკალი მოსდის და [illegible]. დაკეტილში არ უნდა იყოლიოთ წამალ-ნაჭამი პირუტყვი, თავისუფლად უნდა დადიოდეს. ერთის ჭამითვე საქონელი კარგად ჰსდება, იშვიათად რომ გამორჩება მოინდომოს ამ წამალმა.

თურქულის წამალი კი ლიაპისია. ორ ჯერ რომ გამოუსვას პირში პატრონმა საქონელს, ეყოფა.

მღ. ვას. კარბელაშვილი

◆◆

რუსეთი

ბუნების მეტყველთა კრებაზე, რომელიც მალე უნდა შესდგეს, განხილული იქნება სხვათა შორის შემდეგი საგანიც. სასტატისტიკო ცნობებიდგან სჩანს, რომ მომეტებული ნაწილი ავადმყოფებისა რუსეთიდგან უფრო საზღვარგარედ მიდის სხვა-და-სხვა სამკურნალო წყალზე მოსარჩენად, თუმცა თვით რუსეთის იმპერიაშიც ნაკლებად არ მოიპოვება იმ გვარივე წყლები. ეს გარემოება იმის ბრალია, რომ რუსეთის სამკურნალო წყლები ჯეროვანად ვერ არის მოწყობილი. სარჩენად მისული ავადმყოფები ვერა შოულობენ ვერც რიგიანს ბინასა და ვერც სანოვაგეს. ამისათვის ბუნების მეტყველთა კრებას მოხსენდება, რომ დააწესოს მკურნალების ამხანაგობა და მოილაპარაკოს წყლების პატრონებსა და გამგეებთან ჯეროვან ცვლილებათა შემოსაღებად. ამავე ამხანაგობამ უნდა მოილაპარაკოს გემებისა და რკინის გზის გამგეობასთანაც ავადმყოფების წაყვან-მოყვანის შესახებ.

— ახალი კანონი გამოიცა ძეგლების დადგმისა ფინლიანდიაში. ამ კანონში ნათქვამია, რომ არავის ნება არა აქვს რაიმე ძეგლი დადგას მოედნებსა და ბრძოლის ადგილებზე უმაღლესის მთავრობის დაუკითხავადაო. ძეგლის დადგმამდე ჯერ თხოვნა და თხოვნასთან ძეგლის გეგმა უნდა წარედგინოს ფინლიანდიის სენატის დეპარტამენტს, რომელმაც თავის მხრით ეს თხოვნა და გეგმა უმაღლესს მთავრობას უნდა წარუდგინოსო. ეს ახალი კანონი ერთს ფინლიანდიის გაზეთშია გამოცხადებული და ზედ ოთხს სენატორს უწერია ხელი.

— ფინლიანდიის გაზეთები იუწყებიან, რომ ბალტიის მხარის ალლუმებზედ დასასწრების შემდეგ გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი ფინლიანდიაშიაც მოვაო.

— პეტერბურგში მოსულა რამდენიმე კორესპონდენტი უცხო სახელმწიფოების გაზეთებისა. ამ კორესპონდენტმა უნდა სურათები გადიღონ იმ ალლუმებისა, რომელიც გერმანიის იმპერატორის თანდასწრებით გაიმართება. კორესპონდენტთა შორის არის აგრეთვე ქალი-მხატვარი როზა ბერრი, რომელიც სამს სამხატვრო გაზეთში იღებს მონაწილეობას პარიჟში.

— უსინათლოთათვის სამზრუნველოს პერმის განყოფილება 30 აგვისტოს ქალაქ პერმში სასწავლებელსა ჰმართავს, რომელშიაც უსინათლო ყმაწვილებმა უნდა ისწავლონ.

— გაზეთ „Kur. Marsz“-ში მოთხრობილია ერთი ამბავი შეშლილის უეცრად ჭკუაზე მობრუნებისა და მორჩენისა. ეს ავადმყოფი 20 წელიწადია თურმე რაც ჭკუაზედ შეშლილა და, რადგან ამ ბოლოს დროს საშიში აღარას სჩადიოდა, ნათესავებმა საავადმყოფოდგან გამოიყვანეს, რომ ეგების ჯანსა და ღონეზე მოვიდესო. დებს ტყეში დაჰყავდათ თურმე ხშირად ამავე აზრით. ერთს სეირნობის დროს ძაღლი მიჰვარდნია თურმე შეშლილსა და დაუკბენია. შიშისაგან საწყალსათვის მაშინვე სიცხე მიუცია, მაგრამ როცა სიცხე გამოჰპარვია, შეშლილობაც დაჰკარგვია და სრულ გონებაზე მოსულა.

— ამას წინად დინაბურგში სწრაფლმავალ კაცს ალექსანდროვს გამოუცხადებია, რომ მცირე ხანში დიდს მანძილს გავირბენო, ცხენებს გავეჯიბრები სირბილში და, თუ კაცთაგან მოინდომებს ვინმე, იმასაცაო. პირველის წარმოდგენის დროს მართლა გაუსწრია ცხენისთვის და ხალხსაც დიდის ვაშა-ვაშათი დაუჯილდოებიათ. მეორე წარმოდგენის დროს ვილაც „ვანკას“ მოუნდომებია გაჯიბრება ალექსანდროვთან. 15 ვერსის მანძილი ალექსანდროვს 45 წუთში გაურბენია, მაგრამ არც „ვანკას“ დაუგვიანია აგრე რიგად, იმასაც მხოლოდ 7 წუთით დაჰგვიანებია დანიშნულს ადგილზე მისვლა. რომ გაესწრო ალექსანდროვისთვის, „ვანკას“ 100 მან. საჩუქარი უნდა მიეღო, მაგრამ, რაკი იმანაც დიდი სიმარდე გამოიჩინა, მაყურებლებმა თავის მხრით შეუკრიბეს თურმე რამდენიმე თუმანი და იმითი დააჯილდოვეს.

◆◆

უცხოეთი

ავსტრი-ვენგრია. ვერ იქნა და ვერა, ვერ მორიგებულან ერთმანეთში ჩეხები და გერმანელები. გრაფ ტააფეს სამინისტრო თუმცა იმ თავითვე იმ გზას ადგა, იმპერატორის ფრანც-იოსების სურვილით, რომ იქნება მოვარიგოო ეს ერთმანეთში მოურიგებელი ერი და რიგერიც, სტარო-ჩეხების მეთაური, ცოტად თუ ბევრად მხარსაც უჭერს, მაგრამ მლადო-ჩეხები მაინც წინააღმდეგნი არიან და მთელი ერიც იმათა ჰმომხრეობს. მართალია, ვენაში მოილაპარაკეს ორისავე ერის ზომიერმა და მორიგებით საქმის გათავების მსურველმა წარმომადგენლებმა და მორიგების პირობანიც დასდეს, მაგრამ ამით საქმე არ გათავებულა, რადგან მლადო-ჩეხები არა ნდომულობენ და დრტვინავენ მორიგებას ის მოჰყვა შედეგად, რომ გერმანელებმა თავისი საკუთარი სასამართლო გაიმართეს, განსაკუთრებული სავაჭრო პალატები და განსაკუთრებულივე განყოფილება „საეკონომიო საბჭოსი“. ამას გარდა თვით ბოგემიის ერთს ნაწილშიაც გერმანულს ენასა და კულტურასა აქვს მინიჭებული სრული უფლება. აშკარაა, ეს ამბავი არაფრად ეპაშნიკებოდათ მლადო-ჩეხებს, რომელნიც იმას არიან მოწადინებულნი, რომ ჩეხიისათვის ისეთივე ავტონომია და სახელმწიფო უფლება მოიპოვონ, როგორიც ვენგრიასა აქვს. ეს უმადურობა და უკმაყოფილება ამ მლადო-ჩეხების დასისა უფრო იმან გაამწვავა, რომ ჩეხებმა მოითხოვეს: ჩეხური ენა ბოგემიის სასამართლოებში და შინაურ საქმეთა წარმოებაში ოფიციალურ ენად იქმნას ცნობილიო და მთავრობამ არ დაამტკიცა ეს სურვილი. იმპერატორმა ფრანც იოსებმა პირდაპირ გამოუცხადა რიგერს, როცა მან ეს სურვილი ჩეხიის ერისა ამცნო, რომ „უმაგისოდ უნდა მოხდეს როგორმე მორიგება, ახლა ჩეხურის ენის სწავლას ხომ ვერ დავაწყებინებთ ყველა ჩვენს მოხელესაო“.

უამისოდ-კი ჩეხების დაყოლიება ყოვლად შეუძლებელია, რადგან მთელი ერი თანაუგრძნობს ამ სურვილს მლადო-ჩეხებისას და ტააფეს სამინისტროს თანდათან უფრო და უფრო გაუგულგრილდნენ. ტააფეს სტარო-ჩეხების დასი ემხროდა, მაგრამ ბოლოს დროს ამ დასის წევრებიც-კი მლადო-ჩეხების დასში გადადიან და არჩევანებზედაც უფრო ამ მლადო-ჩეხებისავე დასი იმარჯვებს, ასე რომ შეიძლება მორიგების საქმე მეტად ცუდად წავიდეს და ტააფეს სამინისტროსაც ძირი გამოეთხაროს. ერი ჩეხიისა რომ მლადო-ჩეხების სურვილს თანაუგრძნობს, ამას სხვათა შორის აშკარად ამტკიცებს გაზეთ „Bohemia“-ს მიერ ნაამბობი ამბავიც. ეს გაზეთი იუწყება, რომ გერმანელ ზოგიერთ მოსამართლეებზედ საჩივარია შეტანილი ენის დეკრეტის დარღვევისათვის. საკვირველია, რომ იმ ოლქებშიაც-კი, სადაც გერმანელები სჭარბობენ რიცხვით ჩეხებს და სადაც აგერ თითქმის ათი წელიწადი სრულდება, ჩეხურს ენაზედ დაწერილი არზა არ მიტანილა სასამართლოში, ეხლა ასეთი არზა ბევრი მოდისო. ამიტომ განზრახვა აქვთ სამსახურიდგან დაითხოვონ ყველა ის გადამწერლები, მდივნები და სასამართლოს უწყების ოქმის შემადგენელნი, რომელთაც ჩეხური ენა არ იციანო. ვენის გაზ. „Neue Tageblatt“-ი ამბობს, რომ „მას შემდეგ, რაც ჩეხურის ენის ცოდნა აუცილებელ საჭიროებად შეიქმნა ბოგემიის სასამართლო უწყების ჯეროვანად წარსამართავად, გერმანელები ამ ალაგას ფეხს ველარ იკიდებენო. ამ ჟამად საქმე იმ ზომამდეა მისული, რომ ბოგემიის სასამართლოს მოხელეთა შორის მეათე ნაწილიც-კი არ იქმნება გერმანიის სარწმუნოებისა. ბრალმდებელის კანცელარიაში 46 მოხელეს შორის მხოლოდ ორია გერმანელი, 257 აუდიტორში-კი—31 გერმანელიაო.

ასეა, თუ ისე, ამ ჩეხებისა და გერმანელების მოურიგებლობით ცუდი საქმე მოსდით ჯერ თვით ტააფეს სამინისტროს და შემდეგ სტარო-ჩეხების დასის მეთაურს რიგერსაც. ტააფე სცდილობს, როგორმე ბოლო მოუღოს ამ გამწვავებულს მდგომარეობას, რიგერიც-კი დაიბარა ვენაში და მგონი ისიც-კი უთხრა, რომ ჩეხური ენა ოფიციალურად მხოლოდ ჩეხებისა და გერმანელების მორიგების შემდეგ იქმნება ცნობილიო, მაგრამ ძნელად თუ ჩეხები ამ ხერხზედ დაჰყვნენ. პრაგის გაზ. „Politic“-ი სწერს თავის მეთაურში, რომ ამ თავითვე ჩეხებისა და გერმანელების მორიგების იმედი ნურავისა აქვს. ამბობენ, გრაფ ტააფემ განაცხადაო, რომ ჩეხური ენა ოფიციალურად იქმნება ბოგემიაში ცნობილი მხოლოდ მას შემდეგ, როცა ზემოხსენებული მორიგება მოხდება, და ისიც გერმანელების თანხმობით, რომელთა დაყოლიებაც რიგერს უკისრნია. ჩეხების საქმე არც ისე უიმედობაშია ჩავარდნილი, რომ გერმანელებისაგან მოწყალების თხოვნა დაგვეჭირდეს ჩვენის ენის ოფიციალურ ენად გამოსაცხადებლად. ჩვენი ერთად-ერთი სურვილი ის არისო, ამბობს გაზეთი: რომ „მიუდ მოუდებლად, პირდაპირ იქმნას გამოცხადებული ბოგემიაში ჩეხური ენა ოფიციალურ ენადაო“. მართალია, ამასა თხოულობენ ეხლა ჩეხები, მაგრამ ძნელად თუ მამულის სიყვარულით გამსჭვალული დასი მლადო-ჩეხებისა ამითი დაკმაყოფილდეს. რაკი ამას შეისრულებენ, ახლა ფრანც-იოსების ჩეხიის მეფედ კურთხევას მოინდომებენ და ახლა ეს სურვილი ჰყოფს შეუძლებლად და არევ დარევს ჩეხთა და გერმანელთა მორიგების საქმეს.

საყურადღებოა ამ საქმეში აგრეთვე რიგერის ნალაპარაკევი გაზ. „Corespondence Slave“-ს ერთ თანამშრომელთან. სტარო-ჩეხების მეთაურს უთქვამს სხვათა შორის, რომ „ბისმარკის დროს გერმანია ავსტრიის შინაგან საქმეებში არ ერეოდა, მხოლოდ ამ ბოლოს დროს-კი ყური მიუგდეს ავსტრიის გერმანელთა ჩივილს და გერმანიის დიპლომატიამ აგრძნობინა ტააფეს, რომ შენის სასლავიანო პოლიტიკისა მადლობელი და თანაზიარო არა ვართ. ტააფესავე ჰმტრობდნენ მადიარები. აი ამიტომაც მოვაწერე ხელი მორიგების ქაღალდს და მხარს ვუჭერდი ამ სამინისტროს. მაინც-კი დარწმუნებული ვარ, რომ ბოგემიაში მშვიდობიანობა არ ჩამოვარდება იმ დრომდე, ვიდრე ჩეხების სურვილი არ იქმნება დაკმაყოფილებული და იმათი ენა ოფიციალურ ენად არ გამოცხადდება. თუ ამას შეგვისრულებს მთავრობა, მორიგების საქმე თავის დონეზედ დადგება და დიდად უგუნურად მოიქცევიან მლადო-ჩეხები, თუ კიდევ მეტს მოითხოვენ, ნუ დაივიწყებენ, რომ თუ მორიგება არ ჩამოვარდა, ტააფეს სამინისტროს ძირი გამოეთხრება და იმის ადგილს ან გერმანული ლიბერალური კაბინეთი დაიჭერს და ან კონსერვატორული. რაც შეეხება ჩემს მიერ გამოცხადებას პოლიტიკის თავ-დანებების შესახებ, ჩემის ერის სამსახურსა ვარ მოწადინებული, მაგრამ მაშინვე-კი დავანებებ თავს საპოლიტიკო მოღვაწეობას, თუ არჩევანებზედ ჩეხიის ერი მე არ მომეხრო. ასე მოვიქცევი და თან ის იმედი გამყვება, რომ ჩემის ერისათვის მოვიპოვე ყოველივე, რაც-კი შესაძლებელი იყო მეთქი. ჩვენ ეხლა ერთ გვარი უფლება გვაქვს გერმანელებთან სწავლისა და თანამდებობათა განაწილების საქმეში და ეხლა ჩვენის ენის ოფიციალურ ენად გამოცხადებასა ვართ მოწადინებულნი, და ეს ხომ დვრიტაა ჩვენის სახელმწიფო უფლებისა. რაც შეეხება იმპერატორის ბოგემიის მეფედ კურთხევას, ამისი მსურველი თვით იმპერატორიც არის, მაგრამ გერმანელთა დაუხმარებლად-კი ამ ნატვრას ვერ განვიხორციელებთ“.

◆◆

წვრილი ამბები

რუმინიასაც ჰყოლია თავისი ყაჩაღები, მხოლოდ ეს კაპიტნები უფრო მეტს ზრდილობას იჩენენ, როგორც ევროპაში მცხოვრებნი. აი რა ამბავი მოხდენიათ ამას წინად ბაკანის ტყეში: ვილაც შირიაკოს მოუნდომებია ამ ტყეში გასეირნება და ბოშების მინდვრისკენ გაუწევია. იქვე უნდა მისულიყვნენ თურმე სხვა მეაგარაკენიცა და სადილი ეჭამათ. როდესაც შირიაკო მისულა ამ მინდორზე, შეხვედრია ვიღაც სუფთად ჩაცმული კაცი, რომელსაც ორ-ლულიანი თოფი ჰქონია გადაგდებული მხარზე და ხელშიაც რევოლვერი სჭერია. ამ კაცს მოურიდებლად წაურთმევია შირიაკოსთვის, რაც რამ ფული ჰქონია, და უთხოვნია, ჩემთან წამობრძანდით, ვიდრე თქვენი ამხანაგები მოვლენ და საუზმეს მოიტანენო, და თანაც დაუმატებია, თქვენ არავინ დაგიშლით და მაგ თქვენის

საქმელით შეგიძლიანთ ისაუზმოთო. პატარახანს უკან იმავე მინდორზე მოსულან ქალებიც. მოთავე ყაჩაღების ძლიერ ზრდილობიანად მიჰგებებია და უთხოვნია, შირიაკოს მახლობლად დაბრძანდითო. ქალებს შიშის ზარი დასცემიათ, მაგრამ მეტი რა ღონე ჰქონდათ, უნდა დაჰმორჩილებოდნენ. ამასობაში ყაჩაღებს ცოტაოდენი მოჰშივნიათ და შირიაკოსათვის უთქვამთ, თუ შეიძლება, თქვენი საუზმე ჩვენც გვიზიარეთო. ისიც დიდის სიამოვნებით დასთანხმებია. ამ დროს ბოშების მინდორზე მოსულა იასსელი პროფესორი მანესკო თავის დებითურთ. ყაჩაღებს იმისათვისაც მარდად წაურთმევიათ 12 თუმანი. მანესკოს ხმა ამოუღებლივ თავის ხელით მიუცია ეს ფული. ყაჩაღებიც თავის მხრივ ისე ზრდილობიანად მოჰქცეოდნენ, რომ ჯიბეები არ დაესინჯათ, რის გამოც თხუთმეტიოდე მანეთი კიდევ შერჩენოდა მანესკოს. მანესკოს დას სამაჯური ჩუმად კარსეტში დაუმალავს, ყაჩაღს შეუნიშნავს და უთქვამს, განა ვერ დავინახე, მაგრამ როგორ გავბედავ, რომ ისეთს ადგილს შევეხო ქალისასო. ამ დროს კიდევ ერთს გლეხსა და ორს დედაკაცს გამოუვლია ამ მინდორზე. ყაჩაღებს ისინიც შეუჩერებიათ და დაუფიცნიათ, ესენი მხოლოდ იმიტომ დავიჭირეთ, რომ არავის შეატყობინონო. ამას შემდეგ აღარავინ მოსულა ამ მინდორზე და ყაჩაღებსაც გადაუწყვეტიათ წასვლა. წასვლის დროს მანესკოსთვის 9 მანეთი დაუბრუნებიათ, წვრილი ხარჯისთვის დაგჭირდებათო, და ქალებისთვის-კი უთხოვნიათ, ნება მოგვეცით ხელზედ გაკოცოთო. ქალები დასთანხმებიან და შემდეგ ხელზე კოცნისა ყაჩაღებს თავი დაუკრავთ და თავის გზაზე წასულან.

— ორი ჰაერით მოგზაური, ყოვისი და მალლე, აპირობენ ჰაეროსტატით იმოგზაურონ შუა ევროპაში. განზრახვა აქვთ ამ მოგზაურობის დროს მეცნიერულად შეისწავლონ ქარების დენა, რაიცა მეტად სასარგებლო იქნება მეტეოროლოგიისა და იმ შემთხვევისათვის, ვინიცობაა ომი მოხდა.

— სპარტის საპატიმროში ერთის ტუსაღისათვის ნება მიეცათ, მაღლი იყოლიეო. მაღლს მარტოობა ვერ გაუძლია საპატიმროში, გაცოფებულა და 6 ტუსაღი და 11 ჯარის-კაცი დაუკბენია. საბერძნეთის მთავრობამ გადაწყვიტა ყველა 17 კაცის გაგზავნა საფრანგეთში მკურნალ პასტერთან სახელმწიფო ხარჯით. ერთმა დაკბენილმა ტუსაღთაგანმა იკითხა თურმე, რაც წასვლა-წამოსვლაზე დრო მოგვინდება, ჩაგვეთვლება თუ არა დაპატიმრებადაო.

— შვედების მეფის ბერნადოტის შესახებ შემდეგი ამბავია გაზეთებში მოთხრობილი. სასახლის მკურნალებს გადაუწყვეტიათ, რომ მეფეს მკლავი უნდა გაუხსნათ და სისხლი გამოუშვათო. ბერნადოტს ცივი უარი ეთქვა ამაზე და ისევ სიკვდილი ერჩია. როცა გარდაიცვალა, მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, რისთვისაც, სთქვა უარი მეფემაო: მკლავზე ამომწვარი ჰქონდა თურმე შემდეგი სიტყვები: „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“. ეს წარწერა რევოლიუციის დროს გაეკეთებინა მკლავზე და ეხლა იმიტომ განეცხადებინა უარი სისხლის გამოშვებაზე, რო არა ჰნახონ ეს წარწერაო.

— ბანკორელმა სიმსმა სამი მილიონი ფული უანდერძა სხვა-და სხვა საქველ-მოქმედო დაწესებულებას ინგლისისას.

— სტენლი და იმისი ახალგაზდა ცოლი მოგზაურობას აპირობენ. ჯერ წავლენ ლიუცერნში, შემდეგ იტალიაში და აქედგან ამერიკისაკენ გაემართებიან.

◆◆

დეპეშა

11 აგვისტო

პეტერბურგი. გუშინ, $12\,^3/_4$ საათზე, ჩირკოვთან უკანასკნელად შეეტაკა ერთმანეთს დასავლეთისა და აღმოსავლეთის კორპუსები და ალლუმები გათავდა. შემდეგ უმაღლესი საუზმე იყო გამართული მინდორზედ და სადილი პეტერბურგში, სადაც ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა, მემკვიდრე ცესარევიჩი, დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული გერმანიის იმპერატორი და სხვანი წარჩინებულნი სალამოზედ მივიდნენ.

გამოცხადებულია ბრძანება, რომ ცხენის დივიზია შესდგეს ოსებისა, რომელნიც კი კავკავის პოლკში არიან ჯარის-კაცებად.

შავისა და კასპიის ზღვათა ფლოტისა და ნავთ-სადგურების უფროსად ვიცე-ადმირალი კაზანკოვი ინიშნება.

12 აგვისტო

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა ინება და გერმანიის იმპერატორს უფეშქაშა სამი ცხენი, რუსულად მოხალტული, ხოლო კანცლერს კაპრივის-კი წმ. ანდრია პირველ-წოდებულის ორდენი უწყალობა.

გუშინ სალამოს პეტერგოფის დიდს სასახლეში იმპერატორის ვილჰელმის პატივსაცემლად გამართულს სადილზედ 70 კაცი იყო მოწვეული. ბაღი გაჩირაღდნებული იყო; არხის სილრმეში იმპერატორის ვილჰელმის ვენზელი ჰბრწყინავდა. 10 საათსა და 20 წუთს იმპერატორი გერმანიისა გამოემშვიდობა ხელმწიფე იმპერატორს, ხელმწიფე იმპერატრიცას და სამეფო გვარეულობის სხვა წევრთ და წაბრძანდა კრონშტადტში. იქიდგან მისი უდიდებულესობა დღე გათენებისას გემ „Hogenrollern“-ით გერმანიაში გაემგზავრა.

ცარსკოე სელოში გუშინ გარდაიცვალა ფინანსთა ნამინისტრალი გრაფი რეიტერნი.

ოდესა. დღეს ნახევრად დაიწვა რკინის გზის ელევატორი ტირასპოლის საბაჟოსთან. გადარჩა მხოლოდ ჯერ დაუმთავრებელი მეორე ნახევარი, ელევატორისა, რომელზედაც ხორბალი იყო დაგროვებული.

13 აგვისტო

პეტერბურგი. გამოთხოვების დროს იმპერატორმა ვილჰელმ მის უდიდებულესობას სამჯერ გადაჰკოცნა, დიდმა მთავარმა ალექსი ალექსანდრეს ძემ გერმანიის იმპერატორი კრონშტადტამდე მიაცილა. გემი “Nogenzollern“-მა, რომელშიაც გერმანიის იმპერატორი ბრძანდებოდა, ღამის პირველს საათზედ დაიძრა კრონშტადტის ნავთ-სადგურიდგან.

გუშინ დაბრუნდა პეტერბურგში გზათა უწყების მინისტრი.

ასხაბადი. გეოკ-თეპეში გუშინ ოლქის უფროსის თანადასწრებით დიდის ამბით აკურთხეს იმ მეომართა ძეგლი, რომელნიც 1881 წ. 12 იანვარს ციხის აღების დროს დაიხოცნენ.

მიტავა. ძველს რუსთა სოფელ იაკობშტადტში ბრძანება მოვიდა, რომ დაუყოვნებლივ შემოიღეთ რუსული ენა საქალაქო საქმეების წარმოების დროსაო.

პეტერბურგის ბირჟა, 10 აგვისტო.

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო	— „	— „	6, 60
ტამოჟნის კუპონები	— „	„	$132\,^1/_2$
მანეთიანი ვერცხლის ფული	1 11	„	— „
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— „	— „	228
—მეორისა	— „	— „	$216\,^1/_4$
—მესამისა	$211\,^1/_4$	— „	$213\,^3/_4$
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა	$100\,^1/_2$	— „	— „
ქუთაისის ბანკისა	$100\,^1/_4$	— „	— „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— „	— „	— „

განცხადებანი

დეპო რიკრიკებისა

გამართული გვაქვს დეპო რიკრიკებისა და [illegible] გამოჭრისა და გადაკეთებისა კაცისა და ქალის საგანგებო ტანისამოსისა და კორსეტებისა. სამაგალითო რიკრიკები გვაქვს და 50 კაპ. ვყიდით თითო ცალს შინაურსა და სხვა სახელოსნოთათვის. ტანისამოსის გამოჭრის სასწავლებელი. ვასწავლით ყოველ გვარ სახის ტანისამოსის გამოჭრას. ამას გარდა ვწმენდავთ დალაქავებულს ტანისამოსს, ფარდებს, არშიებს, ტყავებსა და სხვა-სხვა ქალაქებიდგან შემონაკვეთს დაუყოვნებლივ ვასრულებთ.

ი. გ. ჯიკარსხანოვი, მიხეილის ქუჩაზედ, № 53. (3—1)



ს.-პეტერბურგის საექიმო გამგეობის ნება-დართული
ფხვნილი
თმისა და ბალნის მოსასპობლად
(Poudre dépilatoire)
გ. ა. ბრიუნინგისა, მაინს ფრანკფურტში.

ეს თმისა და ბალნის მოსასპობელი საშუალება შხამიანი არ არის და სრულიად უვნებელია.
შუშა ჭურჭელი კოლოფიანად 2 მან. 50 კაპ., სხვა ქალაქში გაგზავნით 3 მან.
იყიდება ს.-პეტერბურგს. ალექსანდრე ვენცელთან, ეკატერინის უბანში № 26. (8—3)

ტფილისის გამოფენა.

ვერცხლისა. ოქროსი.

ЗАВОДЪ
МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
А. А. ТУТАЕВА

Принимаются **постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ, мостовъ, тумбъ и будокъ** на шоссейныхъ дорогахъ. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія, масляныя и сухія **краски, кисти, масла** и проч. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже солдатскаго базара.

ვყიდი ყოველნაირს ლიტო-ტიპოგრაფიის და ზეთით გალესილს და მშრალს კრასკებს, ზეთს, კისტებს და სხ. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (Ремонтъ) და შეღებვას ხრეშ დაყრილ გზებზე ხიდებისას, ბუდკებისას და ბოძებისას. შემიძლიან გავგზავნო კრასკები ყველგან, მოთხოვნილობისამებრ. ქარხანა მაქვს იარმუკაზე, საეკკლესიო დუქნებში.

ა. თუთაევი

24—14

ოქროს მედალი

თამბაქოს ფაბრიკა

ნ. ი. ბოზარჯიანცისა

ტფილისში

მაქვს ბ-ნთ მოყვარულთათვის საუკეთესო თამბაქო და პაპიროსი ჩემის ფაბრიკისა, რომელშიაც დიდ-ძალის ოსმალეთისა და ადგილობრივ მოსულს საუცხოვო თამბაქოს თავდარიგია დაჭერილი. შემონაკვეთს მუშტრის გემოვნებაზედ და სწრაფად ვამზადებ. ჩემს მაღაზიაში ბევრი იპოვება საუკეთესო მოწყობილობა და მასალა თამბაქოს ხმარებისა. უცხო-ქვეყნელთა შემონაკვეთს დაუყოვნებლად ვასრულებთ. ფაბრიკის უმთავრესი მაღაზია იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის, არწრუნისეულს სახლში.

(25—8)

კბილი აღარავის წამოსტკივდება

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთ გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია **1373** წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ

და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.



ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ჰნახება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში [illegible] გემო ეძლევა.

ჩვენ მართლ-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, [illegible] ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირის გარდა, მამა ბენედიქტელნი ამზადებენ კბილის ფხვნილს და კბილის პასტას.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი [illegible] დიდს აფთიაქებში და საუკეთესო სუნამოების მაღაზიებში [illegible] რომ მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Jeguin, Bordeaux, rue Croix de Jeguey. № 106.

(208—37)

Доз. ценз Тифлисъ, 12-го Августа 1890 г. Типо-Литографія Б. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик, д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე